

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 45

ქ.თბილისი

2016 წლის 21 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 21 სექტემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა და ლ. ჩიკვაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის ი. დოლიძის ოქმი

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

ამა წლის 17 სექტემბერს გაიმართა „დიდი 10“-ის ლიგის მატჩი ბათუმის „ბათუმი“-სა და ბოლნისის „ყოჩები“ შორის. მატჩის მეთვალყურის ი. დოლიძის ოქმის მიხედვით, მიუხედავად წინასწარი გაფრთხილებისა, ბოლნისის „ყოჩები“-ს ორი მორაგბე, ხელოვნურსაფარიან მოედანზე რკინის შიპებიანი ბუცებით თამაშობდა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.10 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. კლუბი ბოლნისის „ყოჩები“ დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 21 ოქტომბრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/